

Besik BauchadzeEmail: Besik.bauchadze@bsu.edu.ge

Associate Professor, Batumi Shota

Rustaveli State University

Batumi, Georgia

<https://orcid.org/0000-0001-7458-2734>

CORPORATE TAX MANAGEMENT AND ITS IMPORTANCE IN MODERN BUSINESS

Abstract. The purpose of the article is to investigate and determine the importance of corporate (business) tax planning, tax accounting analysis, tax policy development and implementation process in modern business. In the conditions of the market economy, the formulation of tax planning tasks between economic subjects and the state, the structure of tax relations, is quite complicated. Therefore, special requirements are placed on the tax management process. Major decisions are never made without the influence of taxes and their management. It becomes clear that it is necessary to introduce a mechanism for managing tax costs that can reduce the negative consequences of a high tax burden on an organization. In modern conditions, the calculation and payment of taxes is a rather difficult and responsible procedure, in addition to the costs of paying taxes, enterprise owners are also forced to spend significant amounts of money on the development and implementation of corporate tax policy.

Keywords: corporation; management; payment system; finances; tax accounting; tax planning; reporting; profit; Capital.

JEL classification: N8; M21

ბესიკ ბაუჩაძეEmail: Besik.bauchadze@bsu.edu.ge

ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

<https://orcid.org/0000-0001-7458-2734>

კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში

აბსტრაქტი. სტატიის მიზანია გამოიკვლიოს და განსაზღვროს კორპორაციული (ბიზნესის) საგადასახადო დაგეგმვის, საგადასახადო აღრიცხვა ანალიზის, საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საგადასახადო დაგეგმვის ამოცანების ფორმულირება ეკონომიკურ სუბიექტებსა და სახელმწიფოს შორის, საგადასახადო ურთიერთობების სტრუქტურა, საკმაოდ რთულია. ამიტომ სპეციალური მოთხოვნები დგება საგადასახადო მენეჯმენტის პროცესზე. ძირითადი გადაწყვეტილებები არასოდეს მიიღება გადასახადების გავ-

ლენისა და მათი მართვის გარეშე. აშკარა ხდება, რომ აუცილებელია საგადასახადო ხარჯების მართვის მექანიზმის დანერგვა, რომელსაც შეუძლია შეამციროს ორგანიზაციის მაღალი საგადასახადო ტვირთის უარყოფითი შედეგები. თანამედროვე პირობებში გადასახადების გამოთვლა და გადახდა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო პროცედურაა, გარდა გადასახადების გადახდის ხარჯებისა, საწარმოს მფლობელები ასევე იძულებულნი არიან დახარჯონ მნიშვნელოვანი თანხები კორპორაციული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

საკვანძო სიტყვები: კორპორაცია; მენეჯმენტი; საგადასახადო სისტემა; ფინანსები; საგადასახადო აღრიცხვა; საგადასახადო დაგეგმვა; ანგარიშგება; მოგება; კაპიტალი.

JEL კლასიფიკაცია: N 8; M21.

შესავალი

საწარმოებში საგადასახადო მენეჯმენტი ფინანსური მენეჯმენტის სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და გააჩნია შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციფიკა. სახელმწიფო საგადასახადო სისტემის ფარგლებში არსებობს წესები, რომელთა შესრულებაც მკაცრად კონტროლდება სამთავრობო უწყებების მიერ. ეკონომიკურ სუბიექტებსა და სახელმწიფოს შორის საგადასახადო ურთიერთობების სტრუქტურა საკმაოდ რთულია და, შესაბამისად, სპეციალური მოთხოვნები დგება საგადასახადო მენეჯმენტის პროცესზე. კარგად ორგანიზებულ საგადასახადო მენეჯმენტს შეუძლია უზრუნველყოს საწარმო მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელით, გადასახადების ოდენობის კანონიერი შემცირების და ამ სტრუქტურის განკარგულებაში დარჩენილი და მისი შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენებული სახსრების მოცულობის გაზრდის წყალობით. შიდა კანონმდებლობის სპეციფიკა, ასევე დაგროვილი გამოცდილება საგადასახადო ურთიერთობების დამყარებაში არის საფუძველი კვლევის გააქტიურებისა, რომლის მიზანია შეფასდეს: არსებული საგადასახადო სისტემები ბიზნეს სუბიექტებისთვის რამდენად ეფექტურია და რა გავლენას ახდენს ის ეკონომიკური საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე. თანამედროვე მსოფლიოში კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა აქტიურად ვითარდება.

კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტის და მისი განვითარების ევოლუციის ფარგლებში ყველა შესაბამისი ლიტერატურის იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული იქნა შესაბამისი სამეცნიერო ინდექსის მქონე ჟურნალები, სახელმძღვანელოები; ლიტერატურის ძიება მოიცავდა შემდეგ ნაბიჯებს: შესაბამისი ჟურნალების მიმოხილვა; შესაბამისი კონფერენციების მიმოხილვა; პუბლიკაციების მიმოხილვა. მათ შორის ყურადღება გავამახვილეთ შემდეგი ავტორების ნაშრომებზე: Sinclair, D., & Li, L. Ягимова, З. Н.; Frecknall-Hughes, J.; . კ. კული.; ჰ. ასედო, ფ.ვან ბრუნშოტი, ფ. მაკკაჩენი და მ. ჰიუტსონი და სხვა. მათი ნაშრომები გადასახადებისა და გადასახადების მენეჯმენტზე, (ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლების ა. სმიტის და დ. რიკარდოს ფუნდამენტურ პოსტულატებზე დაყრდნობით), ითვალისწინებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სპეციფიკას. სახელმწიფოსა და

ეკონომიკური სუბიექტების დონეზე საგადასახადო მენეჯმენტის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს.

კვლევის მეთოდები

წინამდებარე სტატია განიხილავს ბიზნესის საგადასახადო მენეჯმენტის არსს და მნიშვნელობას. მისი გავითარების ევოლუციას. არსებული საგადასახადო სისტემები ბიზნეს სუბიექტებისთვის რამდენად ეფექტურია და რა გავლენას ახდენს ის ეკონომიკური საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე. მოვახდინეთ ლიტერატურის ყოვლისმომცველი ძიება. დავადგინეთ კვლევების ტიპი და ჩავატარეთ ლიტერატურის ანალიზი. გამოვიყენეთ ზოგადი კვლევის მეთოდები როგორცაა შემეცნების დიალექტიკური მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, კლასიფიკაცია, დაკვირვება და განზოგადება, ლოგიკური ეკონომიკური შეფასების ისტორიული, ყოვლისმომცველი და სისტემატური მიდგომები.

ძირითადი ნაწილი

„კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი“ განისაზღვრება, როგორც ღონისძიებების ერთობლიობა და აღრიცხვის მეთოდის არჩევა, რომელიც მიმართულია საწარმოს საგადასახადო ტვირთის ლეგალურად შემცირებაზე. ჩვენი აზრით, კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი უნდა იქნას განმარტებული, როგორც საგადასახადო პოლიტიკის, საგადასახადო აღრიცხვა ანალიზის, საგადასახადო ხარჯებისა და რისკების ოპტიმიზაციისკენ მიმართული გადაწყვეტილებების მიღების მეცნიერება და პრაქტიკა. ამ ტიპის საქმიანობა ხელს უწყობს ლიდერობის პროცესის ურთიერთდაკავშირებული ფუნქციური ელემენტების რაციონალურ გამოყენებას. რაც გულისხმობს მენეჯმენტის ორგანიზებას და გარე გარემოსთან ურთიერთქმედებას, პერსონალის მოტივაციას, კონტროლსა და რეგულირებას, ასევე საგადასახადო აღრიცხვის, ანალიზისა და დაგეგმვის მნიშვნელობის გაზრდას. კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი საწარმოს საქმიანობაში ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გადასახადები პრაქტიკაში არის ეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, გავლენის ეფექტური ბერკეტი ბიზნეს გადაწყვეტილებების უმეტესობაზე, რაც ხშირად აიძულებს მენეჯმენტს რადიკალურად შეცვალოს საწარმოს ტაქტიკა და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადასახადები არ განსაზღვრავს საწარმოს მთავარ სტრატეგიას, მაინც აუცილებელია მათი დროულად და სწორად გამოთვლა დროულად გადახდა რათა თავიდან იქნას აცილებული საგადასახადო სფეროში შესაძლო დარღვევები და შესაბამისად ჯარიმები [კული კ., ასედო, ჰ., ვან ბრუნშოტი, მაკკაჩენი ფ. ჰიუტსონი მ. (2021 წ).]

კორპორაციული გადასახადების მენეჯმენტი ექვემდებარება კორპორაციული ფინანსების, მარკეტინგის და ზოგადად მენეჯმენტის მთელ ფილოსოფიას. კორპორაციული გადასახადის მენეჯმენტის ობიექტია საწარმოს საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი. კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტის ფუნქციებია: მართვის ორგანიზაცია; პერსონალის მოტივაციის ამაღლების უზრუნველყოფა; საგადასახადო დაგეგმვა; გარე გარემოსთან ურთიერთკავშირის ანალიზი; საგადასახადო აღრიცხვა; კონტროლი და რეგულირება.

კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტის პირველ ფუნქციურ ელემენტად განვიხილავთ მართვის ორგანიზაციას, ის წარმოადგენს: დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ყველა სისტემის სისტემატიზაციისა და კოორდინაციის შესახებ ასევე საგადასახადო პრო-

ცესის ელემენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას საგადასახადო ურთიერთობების დაგეგმვის, ანალიზის, მოტივაციის, კონტროლისა და რეგულირების გზით;

საგადასახადო მენეჯმენტის მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციონალური ელემენტია საგადასახადო დაგეგმვა. ამჟამად საქართველოში საწარმოების უმეტესობაში საქმე ეხება გადასახადების ოდენობის გამოთვლას და მათი გადახდის კალენდარის დაცვას. საგადასახადო ანალიზის არსი მდგომარეობს შემდეგში: უნდა მოხდეს გარე სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს შეფასება (საგადასახადო კანონმდებლობა, ბაზრის პირობები და ა.შ.), ამ სამუშაოს შედეგი უნდა იყოს მიმდინარე საგადასახადო ტვირთის შეფასება და შემცირების მექანიზმების შერჩევა. ანალიტიკური დასკვნების რეალობა დამოკიდებულია სააღრიცხვო და საგადასახადო აღრიცხვისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროების ხარისხზე. [ჩიკვილაძე მ., კოპალეიშვილი თ., (2011წ.)] ამასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელის სანდოობის უზრუნველყოფა, ასევე ზოგადი აღრიცხვის ფორმირება საწარმოთა საგადასახადო მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა. საგადასახადო კონტროლი უმეტესწილად ტარდება გარე მაკონტროლებლის (შემოსავლების სამსახური) მიერ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე. საწარმოსთვის მისმა განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ფინანსური ხარჯები ბიუჯეტში გადახდების გაანგარიშებისას ჩადენილი დარღვევებისთვის ჯარიმების გადახდის გამო. შიდა საგადასახადო კონტროლის განხორციელება საწარმოს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს არასასურველი ხარჯი. ისინი შეიძლება გამოწვეული იყოს გადასახადების არასრულფასოვნებით, ან მათი არასწორი გადახდით, რაც იწვევს სანქციებს. როგორც წესი, კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტის ფუნქციების შემადგენელი ნაწილია მოტივაცია, რაც გულისხმობს პერსონალის სტიმულირებას მუშაობის გასაუმჯობესებლად. საგადასახადო მენეჯმენტის თავისებურება ის არის, რომ ზოგად მართვის ფუნქციებთან ერთად უზრუნველყოფს გარე გარემოსთან ურთიერთქმედებას. ეს უკანასკნელი ინტერპრეტირებულია როგორც ეკონომიკური ურთიერთობების კომპლექსი. გარე გარემოს გავლენა შეიძლება იყოს პირდაპირი (საგადასახადო, საბაჟო, საინვესტიციო კანონმდებლობით, ურთიერთობა მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან), და არაპირდაპირი, განპირობებული ქვეყნის ეკონომიკის ან ეროვნული ფულადი სისტემის ზოგადი მდგომარეობით. გარე გარემოს მართვა ბიზნეს სტრუქტურას არ შეუძლია, თუმცა საგადასახადო მენეჯმენტმა უნდა გათვალისწინოს ცვლილებები ფინანსური ზარალის თავიდან ასაცილებლად ან მოგების გაზრდის მიზნით [ჩიკვილაძე მ., კოპალეიშვილი თ., (2011წ.)]

კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტის საგანი საწარმოს საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური მხარდაჭერაა. საგადასახადო ხარჯების ოპტიმიზაცია შეიძლება განხორციელდეს საწარმოში ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის გამოყენებით: რაც ნიშნავს საწარმოში განხორციელებას:

- საგადასახადო აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაცია;
- გადასახადების გაანგარიშების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ნაკადის რაციონალური ორგანიზება;

- ზუსტი და ეფექტური საგადასახადო აღრიცხვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს: საგადასახადო აღრიცხვის რეესტრის სწორად და დროულად შევსებას;
- საგადასახადო ანგარიშგების დოკუმენტაციის სწორად შევსებას და დროულად წარდგენას;
- საწარმოს გადასახადების სწორი გაანგარიშება, დროული გადახდა და ოპტიმიზაცია მოქმედი კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად.

ეფექტური საგადასახადო პოლიტიკა საშუალებას იძლევა შევამციროთ კომპანიის გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯები. კერძოდ შევძლებთ მოვახდინოთ:

- საწარმოს გადასახადების ოდენობის შემცირება;
- საწარმოში არასწორ საგადასახადო აღრიცხვასთან დაკავშირებული ფინანსური სანქციების გადახდის ხარჯების თავიდან აცილება;
- დამატებითი მოგების მიღება გადასახადის ზედმეტად გადახდის თავიდან აცილებით და შედეგად კაპიტალის ბრუნვის გაზრდით.

ეფექტურობის მიღწევა შესაძლებელია საწარმოში წარმოების არამართო პროცესის, არამედ სწორედ საგადასახადო აღრიცხვის სისტემით და მისი მართვით, რომლის საფუძველია საგადასახადო აღრიცხვის უზრუნველყოფის ორგანიზაციული სტრუქტურა. კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტის გაფართოებული ამოცანები მოიცავს შემდეგს:

I. სამეწარმეო სუბიექტის საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება გადასახადის გადამხდელის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით (სამეწარმეო ოპერაციების სახეები, საგადასახადო რეჟიმი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა, საგადასახადო შეღავათების საფუძვლების არსებობა და ა.შ.);

II. საგადასახადო დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სისტემის დანერგვა მართვის პრაქტიკაში;

III. ეკონომიკური სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის რაციონალური სისტემის ჩამოყალიბება და მისი ცვლადი ელემენტების არჩევით საგადასახადო შედეგების განსაზღვრა;

IV. საგადასახადო რისკების მინიმიზაცია;

V. გამავალი ფულადი ნაკადების მინიმიზაცია.

ასუილებელია საგადასახადო ტვირთის შემცირების შესაძლებლობების გამოვლენა და გამოყენება. რადგან ისინი არსებობენ. საგადასახადო ხარჯების მართვის მნიშვნელოვანი ფუნქცია დაგეგმვაა, შემდეგში საგადასახადო დაგეგმვა. საგადასახადო დაგეგმვა არის ორგანიზაციის მიერ სამართლებრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაციის მიზნით. საგადასახადო დაგეგმვის არსი მდგომარეობს იმ ღონისძიებების ერთობლიობაში, რომელსაც იურიდიული ან ფიზიკური პირი ახორციელებს გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა სავალდებულო გადასახადების ხარჯების შესამცირებლად. ის შეიძლება განხორციელდეს ბიზნესის რეგისტრაციის ეტაპზე, რათა თავიდანვე დაიგეგმოს საგადასახადო ტვირთი. მაშინაც კი, თუ ბიზნესი წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალური მეწარმე, საგადასახადო დაგეგმვა შეიძლება იყოს ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი. ფინანსური ტრანზაქციების გულდასმით დაგეგმვითა და სტრუქტურირებით, ბიზნესს შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს გადასახადების გადახდა, რაც საშუალებას აძლევს მას დაზოგოს მეტი თანხები კომპანიის

განვითარებისთვის ან ახალ პროექტებში ინვესტიციებისთვის. ფაქტია, რომ კომპანიის შემოსავლის მიუხედავად, საგადასახადო ტვირთის შემცირების შესაძლებლობა მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური ბონუსია. პატენტები, ლიცენზია, გამარტივებული საგადასახადო სისტემა, შეღავათები, რეგიონული შეღავათები - ეს ყველაფერი ასე თუ ისე ეხება საგადასახადო დაგეგმვას, ამიტომ ორგანიზაციის ზომას არ აქვს მნიშვნელობა, მისი საგადასახადო ტვირთის დაგეგმვა მისთვის მნიშვნელოვანი და ბუნებრივია.

საგადასახადო დაგეგმვის ტიპები შეიძლება დაიყოს დროის პერიოდების, გეოგრაფიის, მიზნების, რესურსების, საგნების და სხვა პარამეტრების მიხედვით. პრაქტიკაში გამოყოფენ შემდეგ ტიპებს:

ინდივიდუალური და კორპორატიული გადასახადების დაგეგმვა. ინდივიდუალური გადასახადების დაგეგმვის მთავარი მიზანია ხარჯების შემცირება და ფულის დაზოგვა. ინდივიდუალური არის ინდივიდის ფინანსური ცოდნა. ამრიგად, პირს შეუძლია დაგეგმოს გადასახადის დაბრუნება კინოთეატრის ან სპორტული დარბაზის დაქირავებით (აბონიმენტის შეძენისას).

კორპორატიული გადასახადის დაგეგმვა არის საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზაცია და შემცირება კომპანიის ხელსაყრელი ეკონომიკური მაჩვენებლების მისაღწევად. ეს მოიცავს ბიზნესის სარგებელს და ყველაზე ხელსაყრელ საგადასახადო სქემების მოძიებას. რა თქმა უნდა ჩვენ ვსაუბრობთ სამართლებრივ ჩარჩოებში.

ადგილობრივი და საერთაშორისო გადასახადების დაგეგმვა.

ადგილობრივი ხორციელდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, რაც ნიშნავს, რომ იგი ექვემდებარება ამ სახელმწიფოს კანონებს. რეგიონული საგადასახადო დაგეგმვების შესახებ ცალკე შეიძლება ვისაუბროთ - როგორც წესი, ეს ეხება არა საკანონმდებლო ბაზას, არამედ შეღავათებს. ბევრი რეგიონი უზრუნველყოფს შეღავათიან პირობებს მათში დაფუძნებული ბიზნესისთვის. საერთაშორისო დაგეგმვა გულისხმობს საერთაშორისო საგადასახადო დაგეგმვის ინსტრუმენტების აქტიურ გამოყენებას. ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია შეთანხმებები სახელმწიფოებს შორის ორმაგი დაბეგვრის ან სატრანსფერო ფასების აღმოფხვრის შესახებ.

სტრატეგიული და მიმდინარე საგადასახადო დაგეგმვა.

პრაქტიკაში ხდება დაყოფა სტრატეგიულ და მიმდინარე დაგეგმვებად. ამ ტიპის დაყოფა დამოკიდებულია პერიოდის ხანგრძლივობაზე და გადასაჭრელ ამოცანების ბუნებაზე. მიმდინარე საგადასახადო დაგეგმვა მიზნად ისახავს ტვირთის მინიმუმამდე შემცირდეს კონკრეტულ დროსა და მომენტში. ეს არის ყოველდღიური პრობლემების გადაწყვეტა. ამ ტიპის დაგეგმვას ასევე უწოდებენ ოპერატიულს. სტრატეგიული საგადასახადო დაგეგმვა არის შრომატევადი პროცესი, რომელიც საშუალებას გაძლევთ გააუმჯობესოთ საგადასახადო ტვირთი მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს არის გადასახადების დაგეგმვის ფართომასშტაბიანი პრობლემების გადაწყვეტა. შეუძლებელია დამოუკიდებლად თვალყური ადევნოთ ყველა ცვლილებას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საგადასახადო დაგეგმვაზე. თუმცა, საგადასახადო სპეციალისტი ბევრი კომპანიისთვის ფუფუნებაა. ამიტომ, საგადასახადო დაგეგმვის საუკეთესო ვარიანტია აუთსორსინგი. ამ გზით კომპანია შეძლებს გამოიყენოს ყველა შესაძლო სარგებელი, არ გამოტოვოს ძირითადი ცვლილებები და მინიმუმამდე დაიყვანოს რისკები. საგადასახადო დაგეგმვის ძი-

რითადი მიზნები: ა) გადასახადების გადახდის ოპტიმიზაცია; ბ) საგადასახადო ხარჯების შემცირება ერთი ან მეტი გადასახადისთვის. ამ მიზნების მისაღწევად გამოიყენება გარკვეული მეთოდები, რომლებიც შესაძლებელს ხდის ხარჯების ეფექტურად ოპტიმიზაციას და საგადასახადო ტვირთის შემცირებას აბსოლუტურად ლეგალურ დონეზე. კერძოდ: საგადასახადო რისკების მართვა - საგადასახადო დაგეგმვა შეიძლება იყოს მიმართული საგადასახადო რისკების შემცირებაზე და შესაძლო საგადასახადო დავების თავიდან აცილებაზე. ეს მოიცავს საგადასახადო შესაბამისობას, რისკების ანალიზს და შეფასებას და შესაბამისი ზომების განხორციელებას ამ რისკების მინიმიზაციის მიზნით.

საგადასახადო შეღავათების გამოყენების ეფექტურობის გაზრდა - საგადასახადო დაგეგმვა გვეხმარება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო წახალისებისა და შეღავათიანი დებულებების ეფექტურად გამოყენებაში. ეს შეიძლება მოიცავდეს ინვესტიციების გამოქვითვას, საგადასახადო შეღავათებს, წახალისებას გარკვეული დარგების განვითარებისთვის

საგადასახადო შესაბამისობის უზრუნველყოფა.

საგადასახადო დაგეგმვის მიზანია ასევე უზრუნველყოს, რომ ბიზნესი შეესაბამება საგადასახადო მოთხოვნებს და შეესაბამება საგადასახადო კანონებს. ეს მოიცავს საგადასახადო ანგარიშების სწორად მომზადებას - ვადების და მოთხოვნების დაცვას, ასევე საგადასახადო ორგანოებისთვის საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მიწოდებას.

განცხადება საგადასახადო დაგეგმვის პრობლემის შესახებ მოიცავს სამ ძირითად პუნქტს:

მიზნების დასახვა - ჩამოყალიბებულია კონკრეტული საგადასახადო დაგეგმვის მიზნები, რომელთა მიღწევაც კომპანიას სურს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მთლიანი საგადასახადო ტვირთის შემცირება, ლიკვიდობის გაუმჯობესება ან ბიზნესის სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

სამოქმედო გეგმის შემუშავება - ჩამოყალიბებულია კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას საგადასახადო სქემის განსახორციელებლად. ეს შეიძლება მოიცავდეს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში, ცვლილებებს შეთანხმებებში ან კონტრაქტებში, პერსონალის ტრენინგს და სხვა ღონისძიებებს.

განხორციელება - მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არსებული საგადასახადო სტრატეგიის შემუშავება, დანერგვა და შემდგომში შენარჩუნება მისი პარამეტრების კონტროლისა და კორექტირების შესაძლებლობით. საგადასახადო ოპტიმიზაციამ უნდა მოიტანოს კონკრეტული და გაზომვადი შედეგები.

საგადასახადო დაგეგმვის გამოსაყენებლად, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, რა ქმედებებია საჭირო და რა ეტაპზე. მიზნის დასახვის შემდეგ, უნდა დაყოს მისი მიღწევა ეტაპებად. ტრადიციულად განიხილება ხუთი ეტაპი, მაგრამ შეიძლება მეტიც იყოს - ყველაფერი ინდივიდუალურია. როგორც წესი, მიზნებისა და ამოცანების დასახვის შემდეგ, ბიზნესს შეუძლია თავად განსაზღვროს ყველაზე კომფორტული საგადასახადო სისტემა და შეარჩიოს ყველაზე შესაფერისი საგადასახადო შეღავათები.

საგადასახადო დაგეგმვის პირველი ეტაპი არის რისკების იდენტიფიცირება. ამისთვის საჭიროა: საგადასახადო ორგანოებთან მჭიდრო კავშირი; დამატებითი საგადასახადო შეფასება.

შემდეგი ეტაპებია საგადასახადო პრობლემების ანალიზი და საგადასახადო დაგეგმვის ამოცანების ფორმულირება რომლებიც საშუალებას აძლევს საწარმოს უკეთ გაიაზროს თავისი საგადასახადო მდგომარეობა, გამოავლინოს ოპტიმიზაციის შესაძლებლობები და შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართულია საგადასახადო მიზნების მისაღწევად. საგადასახადო პრობლემების ანალიზი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: 1. შემაფერხებელი და პრობლემური ადგილების იდენტიფიცირება. საწარმოს პროცესები და ოპერაციები გაანალიზებულია საგადასახადო ზემოქმედების თვალსაზრისით. იდენტიფიცირებულია ის სფეროები, სადაც წარმოიქმნება საგადასახადო პრობლემები, როგორიცაა ხარჯების არასწორი კლასიფიკაცია, საგადასახადო შეღავათების არასაკმარისი გამოყენება ან შემოსავლის არასწორად გაანგარიშება. 2. საგადასახადო რისკის შეფასება. გამოვლენილია გარკვეული საგადასახადო სტრატეგიების გამოყენებასთან ან საგადასახადო შეღავათების გამოყენებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები. შეფასებულია ამ რისკების წარმოშობის ალბათობა და მათი პოტენციური ფინანსური გავლენა საწარმოზე.

საგადასახადო სტრატეგიის შემუშავებისას მაქსიმალურად სიფრთხილე უნდა იყოს დაცული. თუ არ გავითვალისწინებთ შემდეგ ნიუანსებს: ბიზნესის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის არჩევა; კომპანიის კატეგორიის დაზუსტება; კომპანიის რეგისტრაციის ადგილის არჩევა; სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტებთან შესაბამისობა; ბიზნესის "შიდა" საგადასახადო რეზერვების გამოყენება, ასევე მნიშვნელოვანია საგადასახადო დაგეგმვის ინსტრუმენტების შერჩევა და ასე შემდეგ მაშინ შეიძლება არა მხოლოდ ვერ ავიცილოთ ხარჯები, არამედ შეიძლება დაგვეკისროს ჯარიმები და სხვა სანქციები. [კული კ., ასელო, ჰ.; მაკკაჩენი ფ. ჰიუტსონი მ. (2021 წ.).] საგადასახადო დაგეგმვის ძირითადი ინსტრუმენტებისა და ელემენტების არჩევანი დამოკიდებულია საწარმოს კონკრეტულ სიტუაციაზე და მიზნებზე. არჩევანზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: საგადასახადო კანონი; ბიზნეს სტრუქტურა; ფინანსური მიზნები; საგადასახადო შეღავათები და წახალისება; საერთაშორისო ასპექტები; რისკი და სტაბილურობა; ასევე შეგვიძლია შევითანოთ საგადასახადო დაგეგმვის ინსტრუმენტების სიაში: 1. სააღრიცხვო პოლიტიკა საგადასახადო მიზნებისთვის; 2. სახელშეკრულებო ურთიერთობების სტრუქტურა; 3. ტრანზაქციის ფასების განსაზღვრის პოლიტიკა; 4. ბიზნესის სტრუქტურირება საგადასახადო მიზნებისთვის.

საგადასახადო დაგეგმვა ეფუძნება შემდეგ ძირითადი პრინციპებს:

კანონიერება – იგულისხმება ნებისმიერი „საგადასახადო დაგეგმვა“, რომელიც სცილდება ამ პრინციპს, არ არის საგადასახადო დაგეგმვა და იდენტიფიცირდება კანონით;

ეფექტურობა - ეს პრინციპი გულისხმობს მიმდინარე დაგეგმვის რეგულარულ გადახედვას და ყველა ახალი სამართლებრივი შესაძლებლობის გამოყენებას საგადასახადო ტვირთის შესამცირებლად.

ოპტიმალურობა - არის პრინციპი, რომელიც მართებულიად აყენებს ბიზნეს მიზნებს პირველ ადგილზე და ვარაუდობს, რომ საგადასახადო დაგეგმვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათ;

მოქმედების ვადა - პრინციპი გულისხმობს სასამართლოსთვის არგუმენტების წინასწარ მომზადებას გამოყენებული მეთოდების კანონიერების დასაბუთებისთვის;

ყოვლისმომცველობა - არის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ყველა სამართლებრივი სფეროს, მათ შორის სამოქალაქო კანონმდებლობის გათვალისწინებას;

პროფესიონალიზმი - აქ ყველაფერი მარტივია: კომპეტენტური სპეციალისტები - სუფთა, გამჭვირვალე ბუღალტერია სიურპრიზების, რისკებისა და სასამართლო პროცესების გარეშე;

კონფიდენციალურობა - საწარმოში გამოყენებული საგადასახადო მეთოდების არ გამჟღავნება მესამე პირებისთვის.

კვლევის შედეგები: კვლევებმა აჩვენა რომ: კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური მეცნიერება, რომლის ამოცანაა შეისწავლოს პროცესის ნიმუშები და კონცეპტუალური საფუძვლები არამედ როგორც საქმიანობა, რომელიც მიმართულია კონკრეტული საწარმოს მიზნების მისაღწევად. სწორედ ეს ლოგიკა აისახება ეკონომიკურ თემებზე კვლევების ავტორების უმეტესობის მიერ გამოყენებული ცნებების „მენეჯმენტი“ და „საგადასახადო მენეჯმენტის“ „კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი“ ფორმულირებების დროს ჩვენი აზრით, კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი უნდა იქნას განმარტებული, როგორც ღირებულების ოპტიმიზაციისკენ მიმართული გადაწყვეტილებების მიღების მეცნიერება და პრაქტიკა.

კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტის არსი ვლინდება მის ფუნქციებში, რომელთა შესწავლა იძლევა საშუალებას გავაცნობიეროთ მისი ობიექტური მიზანი და პრაქტიკულად გამოვიყენოთ იგი მაქსიმუმის შედეგის მისაღებად ბიზნესის კეთების დროს.

ჩატარებულმა კვლევამ შესაძლებელი გახადა მკაფიო და კონკრეტულად განმარტებულიყო კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი და მისი ფუნქციები.

არაერთი მკვლევარისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას რომ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გადასახადების გადახდის მინიმუმამდე შემცირება საგადასახადო დაგეგმვის ერთადერთი ამოცანაა. ეს უკანასკნელი ჩვენში განიხილება, როგორც პროცესი დაკავშირებული, ფულადი ნაკადების ოპერატიული და გრძელვადიანი რეგულირებასთან, ასევე გადახდილი თანხების და პერიოდების ოპტიმიზაციის სტრატეგიის შემუშავებასთან.

საგადასახადო ანალიზი სპეციფიკურია იმიტომ რომ იგი ერთდროულად უნდა განხორციელდეს როგორც გარე გარემოსთან, ასევე წარმოების შიდა ფაქტორებთან მიმართებაში. შედეგი უნდა იყოს საგადასახადო ტვირთის შეფასება, რომელიც განვითარდა საწარმოში კონკრეტულ საფუძველზე, ასევე ცვლილებები მის სტრუქტურასა და საგადასახადო შეღავათების ზოგად დონეზე. უფრო მეტიც, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ხარისხი დამოკიდებულია ბუღალტრული აღრიცხვის საიმედოობის ხარისხზე.

დასკვნა

ბიზნესში სუბიექტების დიდი რაოდენობა, როგორც წესი, ფუნქციონირებს საგადასახადო დაგეგმვისა და საქმისწარმოების წინასწარ განსაზღვრული პრინციპების გარეშე. ხშირად ხდება, რომ უნარ-ჩვევები და ცოდნა, იმუშაონ კომპანიებს ზოგად საგადასახადო

პოლიტიკაზე და მით უმეტეს, საგადასახადო შეღავათების გამოყენებაზე, სრულიად არ არსებობს. თუმცა თუ საქმიანობას აქვს საგადასახადო შეღავათები, მაშინ საგადასახადო დაგეგმვაში ინვესტიცია დღეს ნამდვილად ღირს. ამისთვის საჭიროა საგადასახადო კონსულტანტებისა და იურისტების დახმარება, ბიზნეს პროცესების რესტრუქტურირაცია და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ცვლილებები. ამიტომ აზრი აქვს ამის გაკეთებას ახლა, რადგან ხვალ გადასახადების დაგეგმვა შეიძლება გართულდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კული კ.; ასედო ჰ.; ვან ბრუნშოტი, მაკკაჩენი ფ. ჰიუტსონი მ. (2021 წ). საგადასახადო სისტემის შეფასების ანგარიში ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტი იანვარი
2. ჩიკვილაძე მ., კოპალეიშვილი თ., (2011წ.) გადასახადები და დაბეგვრა, გამომცემლობა „ფავორიტი პრინტი“, თბილისი
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <https://mof.ge>
4. P. Das & A. Rizzo. (2022). The OECD Global Minimum Tax Proposal under Pillar Two: Will It Achieve the Desired Policy Objective?, 76 Bull. Intl. Taxn. 1. Journal Articles & Opinion Pieces IBFD, pp. 44.
https://research.ibfd.org/#/doc?url=/collections/bit/html/bit_2022_01_o2_2.html.
5. Lejour, A. (2021). The Role of Conduit Countries and Tax Havens in Corporate Tax Avoidance.(CentER Discussion Paper; Vol. 2021-014). CentER, Center for Economic Research. https://pure.uvt.nl/ws/portalfiles/portal/49937574/2021_014.pdf
6. Cordes J., Ebel R., Gravelle J. ,(2005)The encyclopedia of taxation and Tax policy Washington, The Urban Institute press; ,
7. Besley, T. and Persson T. (2013). Taxation and Development. -URL: <https://econ.lse.ac.uk/staff/tbesley/papers/TaxationAndDevelopment.pdf>.
8. Sinclair, D., & Li, L.(2021)Taxation in a mixed economy: The case of china. Studies in Economics and Finance, 34(1),
9. Frecknall-Hughes, J. (2015). The Theory, Principles and Management of Taxation : An Introduction. London: Routledge. Retrieval from <http://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&site=eds-live&db=edsebk&AN=861906>